იწყება პირველი

ფასი 5 კაპ.

პარასკევი, 13 გიორგობისთვე 1915 წ. № 142

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი ასოებით პირველ გვერდზე პეტიტი ერთ სტრიქონზე 25 კ., მეორე გვერდზე ერთ სტრიქონზე — 10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოეგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ, ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

„ხარფუხის საზოგადო კლუბი“

(მიხეილის პროსპექტი № 129—131)

პარასკევს, 13 გიორგობისთვეს. **კ ო ნ ც ე რ ტ ი** ე. ბროჯის, ორლიანსკისა, კულბიცკაისა, ნემეტტის და სხ. მონაწილეობით: შეასრულებენ: ქართულს, რუსულს და სომხურ რომანსებს. დაწვრილებით აფიშებში.

შ ა ბ ა თ ს, 14 გიორგობისთვეს **სიმღებიანი ორკესტრი** ბ. პრესმანის ლოტბარობით.

კ ვ ი რ ა ს, 15 გიორგობისთვეს. **სამუსიკო საღამო.** ბ. პრესმანობის ლოტბარობით, ქ-ბ. ნ. ა. პრესინსკაიას მონაწილეობით. „სოპორნო“.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8 საათ. წარმოდგენების და კონცერტების საღამოს 8-ნახევარ საათზე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

პარასკევს, 13 ნოემბერს 1915 წ. — სეზონის გასახსნელად

ქართული დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის 4 მოქ. პიესა

გადაჭრილი მუხა

მონაწილეობს მთელი დასი — **დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

ადგილების ფასი სამი შაურიდან მანათ ნახევრამდე

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია **ორშაბათს 16 ნოემბერს.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად. მორიგი წევრი გამგეობისა **ნ. ერისთავი.**

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

„პეტროგრად“-ში

კრუფენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листокъ“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმელეგი

ძრიელ ხელმისაწვდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით **ს. ქახეთელიძე** და **გ. არჩვაძე.**

25—8

გადაწერას საწერ მანქანის საუშალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ძ. გ ო ლ რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

მამულაშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დაიკარგა პასპორტი,

იოსებ ნიკოლოზის ძის ჩიკვაიძისა, 1918 წლამდის მიცემული. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვთ ამ ადრესით დაგვიბრუნოს: Тифлисъ Гунибская ул. № 37 —ან რედაქციაში მიიტანოს.

დოკტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გიახსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს **დოხტაქარი** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

საარტისტო საზოგადოების თეატრში

პარასკევს 13 ნოემბერს გაიმართება რუსული წარმოდგენა

პიგმალიონი

შემოსავალი გადაიდება თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა საურთიერთო დამხმარე კასის სასარგებლოდ

ნოტაწილეობას მიიღებენ დასის საუკეთესო მსახიობნი

დასაწყისი სრულ 8 საათზედ.

„წნორის წყლის“ სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა

სასტუმრო „ჯუგაანი“

სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად. ნომრები და გუფეტი

15—1 პატივისცემით **ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი**

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 11 გიორგობისთვე. დასავლეთი ფრონტი. რიგის ფრონტზე კანგესის ტბის დასავლეთ რაიონში გერმანელები ადგილ-ადგილ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. დალენის კუნძულის სამხრეთ ნაპირზე გერმანელებმა გუშინ დილით იერიში მიიტანეს და დაიპირეს ბერზემიუნდე. მაგრამ ჩვენ მაშველი მარქაფა ჯარი მოგვეხმარა და კონტრიერიშით დავიბრუნეთ იგი. ამავე დღეს ლატიშთა ერთმა მამაცმა რაზმმა სწრაფი იერიშით თავი ესახელა გერმანელებთან შეტაკებაში. დვინის მარცხენა ნაპირზე ილლუქსტის ჩრდილოეთით რუსებმა დაიპირეს იანოპოლი. დვინსკთან საარტილერიო სროლაა გერმანელთა იერიშებმა ამაოდ ჩაიარა, დაკარგულ ადგილების დასაბრუნებლად. დანარჩენ ფრონტზე რიგის ყურედან მოყოლებული მდ. პრიპიატამდე სრული სიწყნარეა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ნოვ. პოდჩერევიჩთან მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ასევე გრძელდება ბრძოლა ს. კოზლიანინჩთან. დანარჩენ ფრონტზე გალიციაში მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

11 გიორგობისთვე.

საბერძნეთი.

პეტროგრადი. საბერძნეთის მისია უარჰყოფს, ვითომც ათინაში მისულიყოს ავსტრო-გერმანეთის მისია გრაფ გლუხოვსკისა და გრაფ ბერტჰოლდის მონაწილეობით.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. დღის ოფიციალი ცნობა. ნისლიანი დღე იყო და თითქმის მთელს ასპარეზზე წყნარად ჩაიარა. როკლენკურის მიდამოებში, მდ. ენსა და არგონებს შუა, ავრედვე ლეპრეტრის ტყეში მტერი ფრანგების სანგრებს უნაყოფოდ ესროდა. არგონებში, ლაგუეტის ჩრდილოეთით და მალანკურის ტყეში ნაღმებით სანგრები აგვიფეთქეს, თუმცა ქვეითა ჯარი იერიშით არ მოსულა.

ბალკანეთში, 6 და 7 გიორგობისთვის ბრძოლის შემდეგ, რომელიც მდ. ცრნის ნაპირებზე მოხდა, აქ და სტრუმიცას მიდამოებში 8 გიორგობისთვეს ბრძოლა არ მომხდარა.

ბელგეთის ასპარეზზე.

ჰავრი, ბელგეთის ცნობა. მტერი ნაკლებ ისროდა ზარბაზნებს. ზოგი ყუმბარა წინ წაწეულ სანგრებს მოჰხვდა, ზოგი სხვა ადგილებშიაც. ბელგეთის ზარბაზნებმა მტრის სიმაგრეებს სროლა აუტეხეს და მათი მუშები გაჰფანტეს.

ანგარის დაწვა.

კოპენჰაგენი. ჰააგიდან იტყობინებიან: ლაიპციგის მახლობლად, მიტერფელდში ცეპელინების 2 ანგარი და შიგ მყოფი ცეპელინები დაიწვა.

გერმანელთა ჰიდროპლანი იძულებული იყო ჰოლანდიის მიწა-წყალზე დაშვებულიყო. იგი ჰოლანდიის მთავრობამ დაატყვევა.

რომი, 11 გიორგობისთვე. კალაბრიოს მწვერვალებზე განვაგრძობთ იერიშებს. მიუხედავად მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა მაინც წინ ვიწევთ. კრასოზე მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენზე, მაგრამ მალე მოვიგერიეთ. შემდეგ ჩვენის მხრით შეუტიეთ და წავართვით ერთი სიმაგრე წმ. მასტენის ეკლესიის გვერდით. საზოგადოდ მთელ დღის განმავლობაში ტყვედ წამოვიყვანეთ 93 ჯარისკაცი და 7 ოფიცერი.

ლონდონი, 11 გიორგობისთვეს გაზეთების ცნობით ლონდონში ჩასულა [illegible] საერანგეთის სამხედრო მინისტრის თანაშემწე, რომელსაც ჯართა მოკრება ევალება.

პლიმეტი, 9 გიორგობისთვე. მოვიდა ხომალდი „კალედონია“. მან დაღუპულ „დონის“ მეზღვაურები მოიყვანა. მათ ხუთი დღე დაუყვიათ ზღვაში. სხვა ნავებისა და მეზღვაურთა ბედი არა უწყიან-რა.

დანეთში.

კოპენჰაგენი. დანეთის მთავრობამ ბამბეულის ნაწარმოების გატანა აკრძალა.

ინგლისის პალატაში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გრეის შეეკითხნენ, მართალია თუ არა შირაზში (სპარსეთში) ინგლისის კონსულისა და ბანკის დირექტორის დატყვევებაო. გრეიმ უპასუხა, მართალია. ეს სპარსეთის მთავრობის დაუკითხავად მოუხდენიათ ჟანდარმებს და მათი ქონებაც მიუთვისებიათო. ჟანდარმერიის ოფიცრები და უცხოელები სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ. მათვე გადასჭრეს ტელეგრაფის მავთული. ყველაფერი სპარსეთის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ მომხდარა, რაზედაც დიდს მწუხარებას გვითვლიანო.

საბერძნეთში.

ათინა. შეთანხმების სახელმწიფოთა მოითხოვნილებანი შუადღისას ჩააბარეს საბერძნეთის მთავრობას. იმედი აქვთ საბოლოო შეთანხმება მოხერხდებაო.

ლუნინეც-სარნი.

ლუნინეცი. ლუნინეც-სარნის რკინის გზაზე წესიერი მიმოსვლა აღადგინეს.

ბიპლანის დაღუპვა.

კოპენჰაგენი. „ბერლ. ტაგებლ.“-ი იტყობინება: მიუნჰენის მახლობლად მისდახში, გუშინ ბიპლანი ჩამოვარდა ორი ოფიცრით. ერთი მოკვდა მეორე მძიმედ დაშავდა.

სომხები ბულგარეთში.

ბუქარესტი. სოფიიდან იტყობინებიან: ბულგარეთში მყოფი სომხები ყველანი გაჰყავდა ჯარში. ოსმალეთიდან გამოქცეული 15 სომეხი ოსმალეთის მთავრობას გადასცეს და, ალბად, დაჭრიტესო. სომხებს 55 წლამდე ბულგარელები სანგრებს ათხრევინებენ.

დელი კოშენი საბერძნეთში.

ათინა. გუშინ დელი კოშენმა მეფესთან ისაუბა. მეფემ აგრძნობინა, რომ მოკავშირეთაგან მიღებულ მოთხოვნილებას თანაგრძნობით ეკიდება. ამბობენ, მეფე ყველა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო.

რუმინეთი.

ბუქარესტი. მეფის ბრძანებით პარლამენტი 15 გიორგობისთვეს შეიკრიბება.

საბერძნეთის განცხადება.

პეტროგრადი. აქ მყოფ საბერძნეთის მისიას მოწერილობა მოუვიდა, უარჰყავ ცნობა, ვითომც კრიტოსის კუნძულზე სარევოლიუციო აჯანყება დაწყებულიყოს. საბერძნეთის სამეფოში ყველგან სიწყნარეა.

სპარსეთის განცხადება.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ რუსეთ-ინგლისის დესპანებს აცნობა: რადგანაც ინგლის-რუსეთთან კეთილი განწყობილება დამყარდა, სატახტო ქალაქი სხვაგან აღარ გადამაქვსო.

ჟურნალ-გაზეთეგიდან

სერბეთში

სერბეთის მდგომარეობა.

საშინელი სისხლის ღვრის შემდეგ ბულგარებმა შემოუარეს ბაზუმის ქედს სამხრეთის მხრივ. ამასთანავე ჩრდილოეთიდან პრილეპით ბულგარები მონასტირზე ილაშქრებენ. სერბეთის მეფის ეს ახალი რეზიდენცია, ბულგარეთისაგან ბაბუნის აღების შემდეგ, დიდს ვასაჭირში ჩავარდა. უცხო ქვეყნების ელჩებმა და დესპანებმა მონასტირი დასტოვეს. მათ თან გაჰყვა საელჩოების ყველა მოხელე. ქალაქიდან ხალხი გაიკრიფა. 70 ათას მცხოვრებიდან დღეს ქალაქში ოცი-ათასზე მეტი არ მოიპოვება. ქალაქში 2000 ბულგართა ოჯახია. მონასტირის მიდამოები სულ სავსეა შეიარაღებული ბულგარებით. რკინის გზით მომოსვლა მონასტირსა და საბერძნეთის მოსაზღვრე სადგურთა შორის შეწყვეტილია. სერბეთის მდგომარეობა თანდათან უარესდება. ვიწროვდება გერმანეთ-ავსტრია-ბულგარეთისა[illegible] მოვლებული ჯალი. სერ[illegible] [illegible]ალი უტყუარ განსაცდელშია.

გედკე სერბეთის მდგომარეობის შესახებ.

ცნობილი გერმანელი სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი გედკე სწერს გერმანეთის სოციალდემოკრატების ცენტრალ ორგანოში: „გავარღვიეთ ის რკინის რკალი, რომელშიაც სურდათ ჩვენი ამოხრჩობა გერმანეთის მტრებს. ამნაირად, ჩვენი სტრატეგიული საზღვრები მესოპოტამიას და სინაის ნახევარ კუნძულს სწვდება. შეერთებული ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი ჯერ კიდევ სამხრეთ მაკედონიაში დგას და საბერძნეთის საზღვრებს ვერ გამოშორებია. იგი დიდის გაჭირვებით იგერიებს ბულგართა იერიშს, მაშინ როდესაც ფელდმარშალმა მაკენზენმა ჯერ კიდევ ღვინობისთვის მიწურულში გადალახა დასავლეთი მორავია, დაატყვევა ოცდა ხუთ ათასზე მეტი სერბი და ხელთ იგდო 150 ზარბაზანი. მაკენზენის არმიის მარჯვენა ფრთა წინ ეღობება სერბეთის ჯარის მთაშაეეთში გადასვლ[illegible] და ძალიან აწვება ახალ ბაზარსაც. ბულგარებს ხელში უჭირავთ პიროტი, ნიში და სამხრეთ მორავის ნაპირებიც დაიჭირეს. ამგვარად ღიაა მისვლა-მოსვლა ვენასა, ბუდაპეშტსა და სოფიას შორის...“ გედკე ასე ათავებს: „ჩვენი მოპირდაპირეების შემოტევებმა ვერც ერთ ბრძოლის ასპარეზზე დადებითი შედეგები ვერ მიიღეს, მაშინ როდესაც ბალკანეთში გერმანეთის შემოტევა გამარჯვებით დაგვირგვინდაო“.

მოწყვეტილი რაზმი.

იტალიური გაზეთი „Socolo“-ს უწყებით ძველ სერბეთში მომქმედ სერბეთის ჯარისაგან ამ ბოლო დროს არავითარი ცნობა არ მოსულა სალონიკში. იქ მომქმედი ჯარები მოწყვეტილია სერბეთის გენერალურ შტაბსო.

მოსავლის და სპილენძის ხელში ჩაგდება.

ძველ სერბეთში ავსტრიელებსა და გერმანელებს ამ წლის თითქმის მთელი მოსავალი ხელში ჩაუგდიათ, ხოლო ბელგრადში, ნიშსა და კრაგუევაცში — დიდძალი სპილენძი.

ოსმალეთი

ვილჰელმის მოლოდინში.

მთელი სტამბოლი აღმფრენას მისცემია. დიდ მზადებაში არიან. მათი „ღმერთი“ იმპერატორი ვილჰელმი ამ ორ-სამ კვირაში უნდა ჩამოვიდეს. მზადებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას. ამ მზადებას სადემონსტრაციო ხასიათს აძლევენ. ვილჰელმის ჩამოსვლა სამაჰმადიანო ქვეყნების ასამბოხებელ ნიშნად აქვთ დასახული. ამბობენ, სულთანი და ვილჰელმი აქ პირველად გამოაცხადებენ საღვთო ომსაო.

რუსეთში.

სამეფო ბჭობა.

პარლამენტის მოწვევამდე, ბუქარესტში გაიმართება სამეფო ბჭობა. ამ ბჭობაში მონაწილეობას მიიღებს მთელი კაბინეთი in corpore და ორივე მიმდინარეობის ლიდერები. ამ ბჭობაზე უნდა მოხდეს საერთო თვალსაზრისის მიღება და ერთი შეხედულების განმტკიცება რუმინეთის საგარეო პოლიტიკაში.

პარლამენტში-კი პრემიერი ბრატიანუ მოხსენებას წაიკითხავს რუმინეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ და მისგან ნდობაა მოითხოვს.

მიწისქვეშა ტელეფონი.

ჰერცას რაიონში, რუმინეთის ტერიტორიაზე, აღმოაჩინეს მიწისქვეშა ტელეფონი, რომელიც ავსტრიის პოზიციებს ჟურინსა და ბოიანის შუა აერთებდა.

ალბანეთი

ავსტრია-გერმანეთის აგენტების მუშაობა ალბანეთში დიდის ნაყოფით დაგვირგვინებულა. ფეხზე დგას ოცი-ათასი მეომარი ალბანი, თანამედროვე ტეხნიკით შეიარაღებული და გაწვრთვნილი, გამოცდილი გერმანელი ინსტრუქტორების მიერ. ეს ჯარი უნდა გაალაშქრონ სერბეთისა და მთაშავეთის წინააღმდეგ.

საშრანგეთი.

საბერძნეთის წინააღმდეგ.

პარიზის ყველა გაზეთი, ერთის გამოუკლებლივაც, ერთხმად მოითხოვს, საბერძნეთის წინააღმდეგ შეუბრალებელ ენერგიულ ზომების მიღებას და ყველაფერი ეს დაუყოვნებლივო.

გაზეთი „Temps“-ი 1827 წლის ხელშეკრულობას მოიგონებს, რომელიც საფრანგეთს, ინგლისს და რუსეთს უფლებას ანიჭებს საერთო შეთანხმებით მთელი საბერძნეთის ტერიტორია დაიჭირონ.

„Matin“-ი მოითხოვს მოკავშირეთა ფლოტის გამზადებას საბერძნეთის სანაპირო ქალაქების დასანგრევად.

„Journal“-ს მაგალითად მოჰყავს საბერძნეთის საქმეები და ამბობს, არა დიპლომატიურის გზით, არამედ შეიარაღებული ძალის დანახვებით უნდა დავიმორჩილოთ საბერძნეთიო.

გულგარეთი

ბულგარეთის მეფემ პასუხი გასცა საფრანგეთის ტახტის მაძიებელ პრინც ორლეანელს. ამ პასუხში მეფე ფერდინანდი ამბობს, რომ უწინარეს ყოვლისა იგი ბულგარეთის ინტერესებს იცავს. რაც შეეხება საფრანგეთს და მის ახალ მომავალს, საფრანგეთს ის უნდა შეემთხვას, რის ღირსიც არისო. ფერდინანდის სიტყვით, ვერავითარი სანტიმენტალობა ვერ შეარყევს მის გადაწყვეტილებას და აზრებს. პირიქით საფრანგეთმა კარგად უნდა მოიგონოს თუ რა ხანჯალი აღმართა მან ბულგარეთის ზურგზედაო.

პოლონეთში

პოლონური უნივერსიტეტის გარშემო.

ვარშავაში თითქმის ყველა სასწავლებელში დაიწყეს სწავლა. ყველაზედ საყურადღებო მოვლენა უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის გახსნა იყო. რომ გერმანეთის მთავრობას პოლონელთადმი თავისი კეთილგანწყობილება ეჩვენებინა, უნივერსიტეტის გახსნის დღეს გამოცხადდა გენერალ-გუბერნატორი ბრწყინვალე მხლებლებით. მას თან მოსდევდენ საუკეთესო გვარდიის პოლკები. უნივერსიტეტის კართან გენერალ-გუბერნატორს შეხვდა რექტორი ბრედძინსკი და პროფესორთა კორპორაცია. შემდეგ გენერალ-გუბერნატორი შევიდა შიგნით დარბაზში, სადაც ინახულა მოქალაქეთა წარმომადგენელნი, მაგისტრები, სხვა და სხვა კომიტეტებისა, ჟურნალ-გაზეთებისა და დაწესებულებათა და პოლონელ არისტოკრატიის წარმომადგენელნი, რომელთაც ხელმძღვანელობდა თავადი ზ. ლიუბომირსკი. საზოგადოდ ამ დღემ ბრწყინვალედ ჩაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთი.

ბულგარეთ-საბერძნეთის შეთანხმება.

„Deut. F.g.z.“ გადმოგვცემს, თუ რა შეთანხმება მომხდარა ბულგარეთსა და საბერძნეთის შუა: „საბერძნეთი უარს ამბობს კავალზე. თავის მხრით ბულგარეთი ჰპირდება დაეხმაროს საბერძნეთს ალბანეთში საკუთარ გეგმის განსახორციელებლად. ეს დახმარება ჰგულისხმობს სამხედრო ძალასაც. შემდეგ მოწესრიგებული იქნება საქონლის გაცვლა-გამოცვლა“.

საბერძნეთის პოლიტიკა

მართალია, სკუდალისის მთავრობა დღე და ღამ არწმუნებს ოთხთა კავშირის წარმომადგენლებს, საბერძნეთის სიმპატია მუდამ თქვენს მხარეზეაო, მაგრამ ამისი აღარავის არა სჯერა. უკანასკნელი ცნობიდან აშკარად სჩანს, რომ მეფე კონსტანტინე და მისი მთავრობა უფრო იმას უწევენ ანგარიშს, რა ესიამოვნებათ ბერლინში, ვიდრე იმას, თუ რა ჰსურთ ან რის წაღება შეუძლიანთ სერბეთიდან. მართალია, დიპლომატიურ წრეებში არავითარი საბუთი არ მოიპოვება იმისი, თუ სახელდობრ რა ხელშეკრულებაა დადებული ვილჰელმისა და კონსტანტინეს შუა, მაგრამ ამ უკანასკნელის მთელი პოლიტიკა ომის დაწყებიდან დღემდე, როცა ინგლისმა ბლოკადა შემოარტყა საბერძნეთს, მაინც გერმანიისკენ იყო და არის გადახრილი. ზედმეტი ზომების მისაღებად დრო დაგვიდგაო, ამბობენ მოკავშირენი.

ვენიზელოსის მომხრენი.

ათინიდან იტყობინებიან, კრიტოსზე დაატუსაღეს ვენიზელოსის მომხრენი, როგორც სახელმწიფოს მოღალატენიო.

შვეიცია

ნეიტრალების კონფერენცია.

სტოკჰოლმში ვითომდა „წითელ ჯვრის“ წარმომადგენელთა კონფერენციის სახით, გერმანეთის მთავრობას გაუმართავს ნეიტრალ სახელმწიფოების წარმომადგენელთა მშვიდობიანი კონფერენცია. ამ კონფერენციის მოგვარება და ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ბიულოვს.

რუსეთის ასპარეზი.

ბრძოლა სტირთან

„დენ“-ის თანამშრომელი ვ. კ. ასე ასწერს სტირთან ბრძოლას:

საშინელმა ბრძოლამ შვიდ დღეს გასტანა. შვიდი დღე რუსები უთვალავ მავთულის ხლართებზე იერიშით მიდიოდნენ. შვიდ დღეს მტრის ქარიშხლისებური ზარბაზნის სროლა ათასობით რუსის მეომარს აწვენდა. წამში უთვალავი ყუმბარა სკდება. დედამიწა ზანზარებს. შვიდ დღეს განუწყვეტელი გრგვინვა და ჭექა-ქუხილი იდგა ზარბაზნებისა და არც ერთის წამით არ შეწყვეტილა. ჯარის პირი აქ 2—3 ვერსი იყო და ამ მანძილზე დღეში 500.000 ყუმბარა სკდებოდა. ზარბაზნე'ის ერთი „ზალპით“ მიდამო ყუმბარებით გადაბრუნებულია. სანგრები 10—12 დიუმიან ყუმბარებით ანგრეულია. სოფელი ნაფოტების სანაგვედ იქცა. მდ. სტირში თევზებიც კი გაიყლიტა და წყალის ზედა პირზე ათასობით ამოტივტივდა. ადამიანის გვამები საკატლეტედ დაკეპილ ხორცს ემსგავსებოდა. აქ ადამიანი ერთხელ როდი კვდებოდა. გვამები გაფათრული და დაფლეთილია. ადგილი ყოველ წუთს ხელიდან ხელში გადადიოდა. შემოგვიტევენ შევმუსრავთ, შეუტევთ—გვმუსრავენ. ათასობით გაყლეტილთა გვამებითაა მოფენილი მიდამო. გერმანელებს მარქაფა ჯარი ავტომობილებით მოჰყავდათ შორეულ ადგილებიდან. ჩვენს მარქაფა ჯარს ჰაეროპლანები დასტრიალებს და ყუმბარებს უშენს. გზები დაჭრილ-დახოცილებითაა სავსე... ამ ჯოჯოხეთიდან თავმთელი არავინ გამოსულა—ან დაჭრილია, ან მოკლული. (ვინც კი იერიშში მონაწილეობდა) აქ რუსის ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია.

პარვუსის განცხადება.

ს.-დ. გაზ. „Volksrecht“-ში მოთავსებულია კოპენჰაგენიდან გამოგზავნილი პარვუსის დეპეშა, სადაც იგი თავს მართლულობს. ამას წინად იგი გერმანეთის ჯაშუშად გამოაცხადეს. პარვუსი ცნობილი ს. დემ. მოღვაწე მწერალია. ეხლა პარვუსი აცხადებს, ჩემი ცილის დამწამებელს შვეიცარიის სასამართლოში პასუხის გებაში მივცემ, რა წამს სიმართლეს აღვადგენო.

კრუპის ქველმოქმედება.

ცნობილი გერმანელი თოფ-ზარბაზნების დამშზადებელი მექარხნე კრუპი ომის საჭიროებისათვის 23,7 მილიონ მარკას სწირავს.

როგორც მისი ქარხნის ანგარიშებიდან სჩანს მოგება მომავალ წლისათვის 47,4 მილიონი მარკა დარჩება.

ბიულოვის განცხადება.

ამერიკის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს ბიულოვმა განუცხადა: არც ვაშინგტონში ვაპირებ წასვლას ვილსონთან მოსალაპარაკებლად, არც მადრიდში—მეფე ალფონსის სანახავად, არც პაპის დელეგატთან განმიზრახავს ზავის თაობაზე თათბირის გამართვა. ყველა ეს გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია. ჩემის აზრით ბრძოლა ბოლომდე უნდა გაგრძელდეს გერმანეთი გაერთიანებულია, მას საკმაოდ ყოველგვარი მასალა მოეპოვება და გერმანეთის ერსაც გადაწყვეტილი აქვს ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს. („Associeted Press“).

ანატოლიის რკინის გზა.

ოსმალეთი სპალატამ გაბათილებულად გამოაცხადა ამ ორი წლის წინად ოსმალეთ-საფრანგეთის შორის დადებული ხელშეკრულება ანატოლიის რკ. გზის გაყვანის თაობაზე, რადგანაც საფრანგეთი ოსმალეთს ებრძვის. ამ გზის გამოსაკვლევად საფრანგეთმა $1^1/_2$ მილიონი ოსმალური გირვანქა დახარჯა. ეს საქმე წინად რუსეთს ჰქონდა აღებული და საფრანგეთს დაუთმო. სწორედ ამ დროს ომიც ასტყდა. ოსმალეთის მთავრობა თვითონ შეუდგება ამ გზის გაყვანას, რასაც გერმანეთი დიდს მნიშვნელობას აძლევს.

საბერძნეთის გეშები.

მარსელში მყოფ სა ერძნეთის ელჩების დატვირთვა შეაჩერეს. ინგლისმა კი საბერძნეთის გემებს ნება დართო დატვირთვა მოათავონ და ზღვაში გავიდნენ.

მოკავშირეთა ჯარის რიცხვი

ერთ-ერთ ვენურ გაზეთის გამოანგარიშებით, 25 ღვინობისთვემდე სულ 8.0000 ჯარისკაცი გადმოუსხამთ საფრანგეთ-ინგლისს. დიდზე უმრავლესობას ფრანგები შეადგენენ.

ნეიტრალობა და ფარული დახმარება.

საბერძნეთი შეთანხმების სახელმწიფოებს მეგობრულ ნეიტრალობას ჰპირდება. ამავე დროს საქმით ავსტრია-გერმანეთს შველის. იტალიური გაზეთი „Guornale d' italia“ იტყობინება, რომ კუნძულ კრიტზე აღმოუჩენიათ საიდუმლო დეპო გერმანეთის წყალქვეშა ნავებისთვის საჭირო მასალებისა. ამბობენ, რომ აქ ყოფილა ბაზა ხმელთა შუა ზღვაში მომქმედ გერმანეთის წყალქვეშა ნავებისა.

საფრანგეთის მინისტრის განცხადება.

დენი კოშენი, რომელიც საგანგებო მისიით ათინაში იყო გაგზავნილი, იმ დასკვნამდე მისულა, რომ მოკავშირეებს ბალკანეთის ფრონტზე მხოლოდ თავიანთი თავის იმედი უნდა ჰქონდესო. საბერძნეთისაგან უკეთეს შემთხვევაში არავითარ შველას არ უნდა მოელოდეს საფრანგეთი და მისი მოკავშირეები, რადგანაც საბერძნეთის ბ[illegible]ჭრობა გადაჭრილ ნეიტრალობას [illegible]ვს. მას არც საბერძნეთ-სერბეთის ხელშეკრულობა მიაჩნია დარღვეულადო. ეხლა საბერძნეთისაგან შეთანხმების სახელმწიფოები მოითხოვენ მარტოოდენ კეთილგანწყობილ ნეიტრალობის დაცვის.

ბრძოლის ველზე

რიგასა და დვინსკს შორის ადგილბრივი ხასიათის შეტაკება ხან აქ და ხან იქ, ხან მეტის სიმძაფრით და ხან კიდევ ნაკლებისა, ყოველ დღე სწარმოებს. ამ ორ მთავარ პუნქტს შორის გერმანელები ზოგან ზედ მდინარეზე არიან მიმდგარნი, ზოგან კიდევ ნახევარ თუ ერთი-ორი ვერსით დამორგული. დალენის ტბის სამხრეთის კუთხეში პატარა ფერმა ბერზემუნდე, გაცხარებული ბრძოლის საგანია. იგი ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადადის. 10 გიორგობისთვეს დილით იგი გერმანელებმა დაიპყრეს, იმავე დღეს კონტრ-იერიშების წყალობით რუსებმა უკანვე დაიბრუნეს. მოპირდაპირეებს შეტაკება მოსვლიათ ილუკსტის ჩრდილოეთით, სადაც ბრძოლის შემდეგ რუსებს დაუპყრიათ იანოპოლი, რომელიც მდინარე დვინას ნახევარ ვერსით არის დაშორებული. სვენცენის ტბის ჩრდილოეთით გერმანელებს იერიშში სანგრების დასაბრუნებლად რუსებმა მოიგერიეს. დვინსკთან საარტილერიო სროლაა. სხვა ადგილებში, რიგიდან დაწყებული მდ. პრიპიატამდე სიწყნარე არ დარღვეულა. სტირის მარცხენა ნაპირზე, პოდჩერევიჩს რაიონში მკაცრი ბრძოლა კვლავინდებურად სწარმოებს. ბრძოლა არც სოფელ კოზლინიჩთან შეწყვეტილა. გალიციაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ბრძოლის პირზე მთელი დღე სიწყნარე არ დარღვეულა.

მეგრი.

თბილისის მნიშვნელობა ჩვენთვის

თბილისში ხდება კონცენტრაცია საქართველოს ინტელიგენტურ ძალებისა. აქ თავი მოუყრია სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებას. ყოველი ახალი ეროვნულ-კულტურული ორგანიზაცია პირველად აქ ისახება და შემდეგ ამ დაწესებულება-ორგანიზაციათა ფილიალი განყოფილებები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს ეფინება. აქ არის სათავე და პირველი კვანძი ყოველი ქართული კულტურული საზოგადოებისა. ჩვენი საზოგადოებრიობის ზოდა აქ მომხდარა და ჩვენი მოღვაწენი, რომელთაც საძირკველი ჩაუყრიათ ეროვნული აღორძინებისათვის თბილისში მოქმედებდნენ. მათი საუკუნო განსასვენებელი ქართველის შეგნებას თბილისში დაუსახავს. ამისთვის ანდერძიც კი გადაულახავს თავის ძვირფას მიცვალებულის მათაყვანებელ ცოცხალ საქართველოს. ქართული საქმის ინიციატივა აქ დაბადებულა. ყველა ეს შემოხვევითი მოვლენა არ არის. აქ მუშაობს ერთი ძლიერი ფაქტორი, რომელიც დაურღვეველ კანონის სიმკაცრით მოქმედებს. **ქართველის ფსიხიკაში თბილისი სრულიად საქართველოს დედა-ქალაქად** არის მიჩნეული, იგი მის შეგნებაში საქართველოს ცენტრია. ეს უტყუარი სინამდვილეა. ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ამ შეგნებას ვერც ერთი ქართველი ვერ გაექცევა და ყოველად შეუძლებელია, რომ მას ანგარიში არ გაუწიოს ამა თუ იმ მიმართულების მიმდევარმა. ასე რომ არ იყოს, უფრო გაბედული მათგანი იტყოდა კიდეც, თბილისი რა გდია, მასზედ ხელი აგვიღიაო. მაგრამ ეს ასე არ არის და ვერც იქნება ასე. თბილისი საქართველოს გულია. გარს შემოხვეულ საქართველოს დაბა-ქალაქ-სოფელთა ძარღვების სისხლი მასში ისხმის. თავის მხრივ იგი აწვდის საქართველოს სოფელს რაც მას ესაჭიროება. საქართველოს დაბა-ქალაქები და სოფლები მას ყურს მიუგდებენ და მისგან მოელიან ბრძანების სიტყვას. თბილისი შეგნებული საქართველოის ნამდვილი პსიხოლოგიური მბრძანებელია. ყველას მისწრაფება და ხედვა თბილისისკენ მოილტვის და ყველას საწადელი ისაა, რომ ეს პსიხოლოგიური ცენტრი, საქართველოს **ნამდვილ** დაუფლებულ ცენტრად გადაიქცეს.

თბილისი კავკასიის პოლიტიკური ცენტრი რომ არ ყოფილიყო, ქართველთა ცენტრალ საკრებულოდ მაინც იქნებოდა. რომ სრულიად კავკასიის ცენტრი კავკავში ანუ სტავროპოლში გადაეტანათ, საქართველოს ეროვნულ კულტურულ ცენტრად, საქართველოს დედა-ქალაქად ისევ თბილისი დარჩებოდა; მისი არსებითი მნიშვნელობა და ღირებულება ქართველის თვალში ოდნავად არ შეიცვლებოდა.

ზედმეტ ღირებულებას თბილისს ის გარემოება მატებს რომ იგი მთელი კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. მისი მორალური გავლენა ამ გარემოებით კიდევ უფრო გაძლიერებულია. დაუფასებელი იქნებოდა თბილისის სამსახური ეროვნული საქმისათვის, რომ მისი ხმა და ნებისყოფა საქართველოს ეროვნულ ნებისყოფის და ხმის ანარეკლი იყოს. ასეთ დიდ და ძლიერ ცენტრიდან საქართველოს პროვინციას რომ მედგარი ხმა მოესმას, ხმა ეროვნული დახმარებისა და ბელადობისა, მთელი საქართველო ერთი-ორად იმედ-მოცემული იქნებოდა. შეგნებული საქართველოელტვის თბილისის ამგვარ გარდაქმნას. მომქმედი და ინიციატივიანი ქართველი თბილისს ჩამოდის და ქონებრივად მის დაპყრობას ცდილობს. ინტელიგენტური ძალა აქეთკენ მოედინება. ეროვნული ლონეს ხმა-რობს თბილისში. გულტრული ბატონობა ხელში ჩაიგდოს. ამგვარად თბილისის დიდი პსიხოლოგიური და მორალური მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის დღეს მკაფიოდ არის გამოთქმული; თბილისის დაპყრობისა და თბილისში გაბატონების პროცესმა უკვე ღრმა კვალი გაივლო ქართველის შეგნებაში. ხოლო უფრო ცოცხალი და მომქმედი ელემენტი პრაქტიკულად შეუდგა კიდეც ეროვნულ აუცილებლობის ნაკარნახევის აღსრულებას. თაოსანი და საქმის მოყვარე ქართველობა აქ ჩამოდის და ფეხს იკიდებს. ასეთია სინამდვილე. ასეთია პსიხოლოგიური განწყობილება ქართველისა თბილისისადმი, განწყობილება, რომელიც დიდი სტიმულია ეროვნული ენერგიის ასამუშავებლად. ამ მოვლენას შეგნება უნდა. ამ განწყობილებას, რომელიც გამომხატველია ქართველობის დიდი სულიერი გარდაქმნისა, გაგება უნდა, წაქეზება და ხელის შეწყობა სჭირია. აქ ორი აზრის ქონა შეუძლებელია. ყველა ქართული მიმართულება მოვლენის შეფასებაში უნდა შეთანხმებულიყო და საერთო ძალ-ღონით დაეჩქარებინა უკვე დაწყებული პროცესი. აქ პარტიობა მოსატანი არ უნდა ყოფილიყო. ყველა და ყოველი შეგნებული ქართველი უნდა შეერთებულიყო რომ ღონე ეღონა და ნელი-ნელ ჩვენს საკუთარ დედა-ქალაქში სხვისი ბატონობის მაგივრად ბატონობაც და პატრონობაც მის კანონიერ მესაკუთრეს, ე. ი. ქართველობის ხელში გადასულიყო. ამის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად ქალაქის არჩევნებია. საჭირო იყო ქართველი ამომრჩევლების შეერთება და პროპორციის მიხედვით ქართველი ხმოსნების გაყვანა იმ ქალაქის თვითმართველობაში, სადაც დღეს ოთხმოც ხმოსანში ქართველი ათიც არ ურევია. მაგრამ სამწუხაროდ, ქართული სოციალისტური პრესა (იგულისხმე სოციალდემოკრატიული) ძველებურად ამ ეროვნულ სულთა სწრაფვის გამაბათილებლად გამოდის. როგორც სხვა საქმეებშიც თბილისის არჩევნებშიაც იგი ეროვნული მომენტის უარმყოფელად გამოდის. ეროვნულ შეერთების მაგიერ, იგი ეროვნულ დაქსაქსულობას ქადაგებს. მისთვის სულ ერთია მთელი თვითმართველობა საქართველოს „შვილების“ ხელში იქნება, თუ (სასომხეთოს) სხვის ხელში. ჩვენთვის ეს სრულიად სულ ერთი არ არის და გვგონია რომ სოციალდემოკრატიული პრესა დღესაც ძველ შეცდომას იმეორებს. ჩვენ ღრმად გვწამს რომ გამოფხიზლებული

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

მაჰმადიანთა კულტურის ათას წლიურ განვითარებას ფეხდაფეხ მისდევდა საქართველოს ფრიად თავისებური ხასიათის განვითარება. თუ მაჰმადიანთა ქვეყანა განიცდიდა ერთგვარს სულიერ დაცემას რაც ამ მოძღვრების სამეფოში ფეხი მოიკიდა სუფისთა ფილოსოფიამ, საქართველო ის ის იყო ეროვნულ აღორძინების ფაზაში გადადიოდა მეფე თეიმურაზისა, ვახტანგ VI და ირაკლი მეორის დროს. რუსები კი ამ დროს გაჯიქებით ძველს შეხედულობას არ სტოვებდენ ქართველთა შესახებ და კვლავ მათში ჰხედავდნენ პირვანდელ მდგომარეობაში მყოფს აზიელს და თვით ჩამორჩენილნი სულიერად მას ზიზღით შეჰყურებდნენ, ღირსად არ სცნობდნენ მასთან დაახლოვებასაც კი.

ყველაზე აშკარად ასეთი რუს კულტურტრეგერთა პსიხოლოგიის სახე გამოჩნდა ლერმონტოვის ცნობილ „დავაში“, იალბუზის მწვერვალებიდან მგოსანი დაჰყურებს აზიელ ხალხს და რასა ჰხედავს? ზემოდ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ „მთვლემარე ქართველი აქფებულ ღვინოს შარვალზე იქცევდა“, მაზე უკეთესად არ ეპყრობა სპარსელს, რომელიც წამოთხლეშილა ჭრელს სავარძელზე და თავის ცანცარით უდარდელად აბოლებს ჩიბუხს. შემდეგ აგვიწერს არაბებს და სხვა. აღმოსავლეთის ხალხთა ტიპოგრაფიულ ასეთს აღწერილობას დიდი პსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს. სიზარმაცე, ფატალიზმი, განდეგილობა, წარსულის კულტი—ეს ხომ ყველა ის ხაზებია, რომელითაც საზოგადოდ დღემდე ჰხატავდნენ და ასურათებდნენ აღმოსავლეთს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. თვით პესიმისტური დასკვნა, რასაც ამ სურათის შემდეგ დაადგება მყინვარი, რომ

„რასაც კი თვალი აქით მისწვდება,
სძინავს, სიჩუმეს მოუცავს იგი,
არა არ ძალუძს ბერ აღმოსავლეთს
რომ დამიმონოს გალაღებული-ო“.

ეს ის ფერადები გახლავთ, რასაც ასე ხშირადა ვხვდებით დასავლეთ ევროპის მწერალთა ნაწერებში.

ვგონებ გადაჭარბებული არ იქნება, თუ საქვეყნოდ აღვიარებთ, რომ დასავლეთ ევროპის რომანტიკოსების მიერ ყველაზე მეტად ქართველი ქალი დაიჩაგრა. არასოდეს მწერლობასა და სინამდვილეს ასეთი კონტრასტები არ უნახავს, როგორც ამ შემთხვევაში. დასავლეთელთა მიერ დახატული ქართველი ქალი, განსაკუთრებით რუს მწერლებისგან აწერილი სახე, იმდენად ზეღვთაებრივია გარეგნული შეხედულებით, რომ სულსა და გულს წარიტაცებს, მაგრამ რაღაა ეს სილამაზე, როდესაც ამ გარეგნულ მშვენიერების სამკაულში აუწერელი, უკედ წარმოუდგენელი სიბილწე და გახრწნილება იმარხება!

ქართველი ქალის გარეგნულ სილამაზის აღწერილობაში დასავლეთ ევროპისა და რუსის მწერლები აღემატნენ თვით ქართველთა მწერლებს დაწყებული მოსე ხონელიდან და გათავებული აკაკი წერეთელით. აქ მათ ამ მწერლებზე არა ნაკლებ მოიხმარეს აღმოსავლეთურ ლექსიკონის ნარნარი და მეტად მდიდრული ლექსიკონი. ქართველ ქალის სიტურფის დასახატად პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი, თომას მორი, ბალმონტი თუ სხვები, რაღაც საოცარ მდიდრულ მეტაფორებს მიჰმართავდნენ, გაზვიადებულ მეტაფორებს, წარმოუდგენელ აღფრთოვანების ეპიტეტებს. ჯერ კიდევ მე-XVII საუკ. მოგზაურები, როგორც მაგალითად, შარდენი, აცხადებს, რომ მეტი წილი ქართველებისა ისეთ მომაჯადოებელ სიტურფისა არიან, რომ მზგავსნი სხვაგან აღარსად მინახიაო. მაზე მეტად აღფრთოვანებულია მეორე მოგზაური სასულიერო წოდების პიროვნება, აბათი დელაპარი (1781 წ.) საქართველოში, მისი სიტყვით, ისევე ძნელია ულამაზო ქალს შეხვდეთ, როგორც სხვა ქვეყნებში სრული სიტურფით შემკულ მშვენიერ არსებას... შეუძლებელია ქართველ ქალს უყუროთ გულგრილად, ისე, რომ გული არ აგიფეთქდეთ, ენებათა ღელვამ არ მოგვიდათ..“ და სხვა და სხვა.

როდესაც ასეთი აღფრთოვანებული სტრიქონები წაიკითხეს რუსმა მწერლებმა, კავკასიაში მოხვედრისთანავე მოჰყვნენ ქართველი ქალის კულულების გარშემო საოცნებო გვირგვინის დაწვნას.

„ვინ შეედაროს, ქართველო ქალო,
შენსა სიტურფეს მშვენიერებით“.

პათეტიურად შესძახებს პუშკინი და დაწერილებით აგვიწერს ქართველი ქალის „მაღალს შუბლს“, „მომჯადოებელ თვალებს“, „ენებიან მოხვევნას“ „შხამის დამწურებელ კოცნას“ თავის ცნობილ პოემაში „ბაღჩი სარაის შადრევანი“.

ინგლისელი მგოსანი თომას მორი ქართველ ქალთა სილამაზეს აგვიწერს ისე, რომ ქართველი სულ არ უნახავს. მის ფერადებში ქართველი ქალი იხატება მეტად მიმზიდველ და სულის დამატკბობელ არსებად, რომელიც ერთგვარის შვებით აავსებს მნახველს. მაგრამ მწერალთა შორის, რა თქმა უნდა, ქართველ ქალის გარეგნულ სილამაზის აღწერილობაში ლერმონტოვს ვერვინ აღემატა. იგი პოეტურ სიყვარულით ეტრფის ქართველ ქალს. მის მიერ დახატული თამარ დედოფალი „ტურფაა როგორც ცის ანგელოზი“. ასევე თვალის მომჭრელი სიტურფით სავსეა მეორე თამარი, გუდალის ქალი. იგი თვით ბოროტ სულს დემონს დაიმორჩილებს და შთააგონებს „ცას შეურიგდეს“ და უარჰყოს ძველი შურის ძიების განზრახვა, უარჰყოს თვისი „ამაყი ფიქრები“.

„მას შემდეგ რაც რომ ქვეყნიერებს
მოსწყდა სამოთხის მშვენიერებას,
ვფიცავ,ოჰ ტურფავ, შენებრ კეკლუცი
არ გაფურჩქნულა სამხრეთ ცის
ქვეშა...“

და განა ასევე არ მიჰმართავდნენ თამარ დედოფალს ქართველი მეხოტბენი? განა ისინიც იმას არ ამბობდნენ, რომ თამარი არა თუ მზეებრ ანათებდა, არამედ თვით მზათობთაც კი ფერს უკარგავდა, რომ მის „სიტურფის წინაშე„ თვით ყვავილებიც კი „მონებდნენ“ და სხვა.

მაგრამ რა წამს რუსი მწერლები მოჰყვებიან ქართველ ქალის პსიხოლოგიის აღწერილობას, მაშინათვე ყირთამალავდება მთელი სინამდვილის სრული სახე. მათი პალიტრიდან უცნაური ფერადები ზავდება უმალ. აქ თქვენ ჰხედავთ ქართველ ქალს, როგორც ვერაგს, შურის მაძიებელს, ენებათა და ბოროტების საჭურჭლეს, ნარნარ სილამაზის იქით, რუს მწერლების აზრით, იმალება მხეცური ლტოლვა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა, რომ ლერმოხტოვმა თვით თამარ დედოფალიც კი, ეს ქართველ დედოფალთა შორის უაღრესი და სათაყვანო პიროვნება გარდაჰქმნა რაღაც ჯადოსან სირინოზად, მოჰმადლა ბოროტი დემონის თვისებებით, რომელიც გამვლელ-გამომვლელს იწვევს თავის გერმის საწოლში მხოლოდ იმიტომ, რომ ენება ჩაკვლის უმალვე თავი გააგდებინოს მათ.

„ბაღჩისარაის შადრევნის“ გმირი ქალი ზარემა თვითონვე გულახდილად ამბობს რომ „ენებისათვის დავიბადეო“,—როდესაც შუაღამისას გამოიღვიძებს და ეშვს აიღებს, იგი სულ აუთრთოლებლივ ჰკლავს თავის მეტოქეს, რის შემდეგაც თავს არც თუ თითონ ინანებს სასიკვდილოდ.

ამათზე უფრო მწუხრი ფერადებით დაჰხატა პოლონსკიმ თავისი გმირი ქალი დრამაში „იმერეთის დედოფალ“ დარეჯანი“. იგი გატაცებულია ერთად ერთ დაუცხრომელ პატივმოყვარეობით. აბრმავებინებს კანონიერ ტახტის მემკვიდრეს შვილი-შვილს, არ ერიდება უმანკო ქალზე ტყუილად ბრალი დასდოს და ჩაერიოს იმერეთის თავადთა ვერაგულ კავშირში. რომ მკითხველის გოცება არ გამოეწვიოს ამ დრამამ პოლონსკი გაისაჯა და წინასიტყვაობით გაგვიმასპინძლდა: „დარეჯანი,—ამბობს იგი,—როგორც მე წარმომიდგენია, ერთად ერთი ქალი როდია იმერეთის ისტორიაში, მაშინ როდესაც რუსეთში მას ჩასთვლიდნენ საღაც ველურ მოვლენად“.

რუს მწერლების მიერ დახატულ ქართველ ქალთა ტიპებში თითქმის ერთად ერთ ბრწყინვალე გამონაკლისს შეადგენს თამარი, გუდალის ასული. მაგრამ თვით ეს ტიპიც კი, რომელიც ავტორის სიტყვით, „ეთერისაგან“ შეჰქმნა, არ არის სრული და ისეთივე განყენებული, მიწიერი პიროვნებაა, როგორც უცნობი სახე დემონისა. აი, ამიტომაა, რომ ასეთ ზერელე და წინასწარ განზრახვის თანახმად მოპყრობა წარსულ საუკუნის სახელოვან მგოსანთა მიერ გვირდგენდა ქართველ ქალის ისეთს ტიპებს, რომელთაც არ შეუძლიანთ ჩვენი დაკმაყოფილება და დაინტერესება. თვითეულ ტიპის დაკვირვებაზე უმალ ამჩნევთ, რომ აქ მწერალი იმავე შაბლონ მეთოდს მიჰყოლია, როგორც ველურ ბუნების და პირვანდელ მდგომარეობაში მყოფ მთიელთა ტიპების შექმნის დროს. ქართველ ქალს გამოუკრთოლეს დასავლეთ ევროპის რომანტიზმის სარკის სხივები და მას მიაწერეს ყველა ის თვისებანი, რითაც წარმოდგენილი ჰყავდათ აღმოსავლეთელთა ჰარამხანის ქალები. როგორც ერთგული მოწაფენი ევროპიულ რომანტიზძისა რუსის დიდი მწერლებიც აღმოსავლეთის ადგილას კავკასიაში დაჰქროლავდნენ და ქართველ ქალის ხსენებაზე გონებათ ირდგენდნენ ბაირონისა და თომას მორის გმირებს, რომელთაც ვიცნობთ ზაირამისა, ზულეინქამისა და სხვათა სახით. საინტერესოა, რომ ქართველ ქალის დასახატად ეძებენ ჰარამხანის ფერადებს, მაგრამ რაკიღა ასეთი არ მოიპოვება საქართველოში, ქართველი ქალი მიჰყავთ ხან ყირიმში, ხან სომხეთში, ხან კიდევ სხვა ადგილებში, სადაც ასეთი რამ მოიპოვება. ერთ ასეთს ტიპზე უკვე მიუთითეთ გრეის ჰარამხანაში ბაირამზე. ლერმონტოვის მიერ დახატული „ქართველი ქალის ტიპი“ გვირდგენს მეორე ქართველი ქალის ტრაგიკულ ბედს, რომელიც სცხოვრობდა მოხუც სომეხთან „სულის შემხუთველ ჰარამხანაში“, სადაც იგი ნელ-ნელ სჭკნებოდა ყვავილსავით. დასასრულს იგივე პოეტი გვიხატავს სრულიად საწინააღმდეგო ჩვეულებას, რაიც ქართველთა ოჯახს—და ზნე ჩვეულებას არა სცოდნია არასოდეს. იგი თამამად ამტკიცებს, რომ თავად გუდალის ასულს, თამარს ქორწილის შემდეგ „მოელის ბედი საპყარ მხეველისა“-ო.

არა, რუსის მწერლები ცაში ჩამოკიდულთ დაემზგავსნენ. მათი მთიელი გმირები ტრაფორეტული ტიპებია. მათ მხოლოდ თავის მოკვეთა იციან და სისხლის სმა. ქართველი ხარმაცია, მთვლემარე და მუდამ ღვინით გამობრუჟული. რაც შეეხება ქართველ ქალებს, ესენი მხოლოდ დოქებით დადიან, შეუძლიანთ სიმღერა და ლეკურის დავლა.

წარმოვიდგინოთ ხელ - ახლად, ვითომც გაჰქრა და დაიღუბა ქართული წყაროები, ქართული ნაშთები, ძეგლები, აღარავითარი მწერლობათა საბუთები აღარ მოიპოვება და მოითხოვეს ქართველთა ქალის ტიპის აღდგენა, რუს მწერალთა სურათების მიხედვით. თუ ეს ტრაგიკული წუთი დამდგარიყო, ისტორიკოსი წარმოგვიდგენდა ისეთს სურათს, რომ მნახველი შეძრწუნებული უკან გადგებოდა და პირს იბრუნებდა. ციური სიტურფე და დემონიური სახე შემკული ყოველგვარ ბიწიერებით,—აი რა სურათს აღადგენდა ისტორიკოსი.

ყველა დასკვნანი, რასაც ჩვენ დავადექით, გვითითებს იმაზე, თუ როგორ უყურადღებოდ, ხშირად ზერელედ ეპყრობოდნენ რუსი მწერლები აღმოსავლეთს. იმ ქვეყანაში, სადაც უხსოვარ დროიდან ქალის უაღრეს პატივისცემის კულტი იფურჩქნებოდა, მათ მხოლოდ დაინახეს ჰარამხანის გახრწნილი კეკლუცი ქალი. თვით საიდეალო და ყველა ქართველის მიერ გაღმერთებული დიდებული დედოფალი სახელოვანი თამარი წარმოგვიდგენს მათ გარყვნილ ქალად, რომელიც ხელის აუთრთოლებლივ ახოცვინებდა შემთხვევით ნაპოვნ საყვარლებს...

(შემდეგი იქნება)

ვ. გურკო.

საქართველო, მისი დემოკრატიული, და არა-დემოკრატიული ნაწილიც სოციალდემოკრატიის პრესის შემცდარ შეხედულებას და პოზიციას არ გაიზიარებს. თბილილისის ქართველი ამომრჩევლები, ერთად შეერთდებიან და მომავალ არჩევნებში გამოვლენ როგორც ერთი განუკვეთელი ერთეული. ერის სხეულს გაზრდა სწადია, დასრულწლოვანება და თავის ქვეყანაში საკუთარი თავის გაბატონება.

ნარკვევი

პოლონური გაზეთი „დზენიკ პეტროგრადსკი“ პოლონეთის საკითხზე სწერს:

ჩვენ არ გვაკვირვებს რუსეთის საზოგადოების დუმილი პოლონეთის საკითხის გამო, რადგანაც გვესმის, თუ ეხლა რა დიდ ისტორიულ ხანას განიცდის რუსეთი. არც ვინმე თხოულობს, რომ რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა თავისი საზრუნავი საქმეები მიაყურსოს და პოლონეთის საკითხს გადაეგოს. ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ, რუსეთის საზოგადოება ესარჩლება თუ არა „ჩვენს მამაკაცთა ოცნებას“ თავისი ერის ინტერესთა სრული შეგნება—შეთანხმებით? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ბულგარეთის დამოკიდებულება რუსეთს თავისს სამოქმედო გეგმაში აქვს ჩაქსოვილი, აგრედვე მიჩნეული აქვს გერმანელთაგან დაპყრობილ საფრანგეთის მიწა-წყალის დაბრუნების საჭიროება. სასურველი იყო ჩვენც გვცოდნოდა რაიმე გარკვეული აზრი რუსეთისა პოლონეთის შესახებ. ეს უბრალო ჟინიანობა როდია, არც პოლონელთა ოცნების ნაყოფი. პირიქით ამ საკითხის გამორკვევა თვითონ რუსეთისათვის არის საჭირო. თუ გამოირკვა, რომ რუსეთსა და გერმანეთს პოლონეთის საკითხში ერთნაირი განზრახვა ამოქმედებს, თუ ორივეს მხოლოდ პოლონეთის დაპყრობა ჰსურს, მაშინ ჩვენთვის ომი განმათავისუფლებელ მნიშვნელობას ჰკარგავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის, ასე არც შეიძლება იყოს, უფრო მეტი, პოლონეთის ერის მოთხოვნილება, ერთად-ერთი და შეუდავებელი მთელ საუკუნის განმავლობაში და ომშიაც ჩახლართული, რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ჩვენთვის სასურველი იქმნებოდა, თუ რუსეთი ეხლავე ანგარიშს გაუწევდა თავისთავს, ან შეურიგდებოდა და შეიწყნარებდა ჩვენს დებულებას, ან-და გრაფ ნესელროდსავით უარჰყოფდა მას“.

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული პოლონელთა კომიტეტის თავმჯდომარე ლედნიცკის პასუხი თ-დ ტრუბეცკოის წერილზე. ტრუბეცკოი სწერდა:

„მტკიცედ გვწამდეს, რომ რუსეთის მედგარი ძალა კვლავ მოევლინება ქვეყნიერობას. მაშინ პოლონეთი ეღირსება იმ ეროვნულ ოცნებათა განხორციელვბას, რომელსაც იხსენიებდა უმაღლესი მთავარ-სარდლის მოწოდება. აგრეთვე რუსეთიც შეესწრობა პოლონეთის საკითხის გადაჭრას, რომელიც დაიფარავს მისს ეროვნულ დამოუკიდებლობას. საკითხის ასე მოგვარება კი შესაძლებელია მხოლოდ ფართო **ეროვნულ ავტონომიით, და, ვინ იცის, პოლონეთი იქნებ სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობითაც. წინდაწინვე ნუ გადავჭრით იმას,** თუ რა უფრო უზრუნველჰყოფს ორივ სლავიან ერის უშიშროებას და სხვა საარსებო ინტერესებს—ავტონომია, თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პოლონეთისა. როდესაც იგი მორიგ საკითხად დაისმის, მე მხოლოდ მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ რუსეთისა და პოლონეთის ერების იდეალები არ გაიყრება“.

ამ წერილების გამო გაზ. „რეჩი“ ამბობს:

„თუ ჩვენ საკითხს ისევე დავაყენებთ, როგორც ამ ერთი წლის წინად, მაშინ იგი უფრო გარკვევით უნდა დაისვას, თუნდაც ამას ერთგვარი „იმედის გაცრუებაც“ მოჰყვეს. უმჯობესია ეხლავე „იმედის გაცრუება“, ვინემ „ილიუზიების“ გაღიზიანება, რომელსაც შეიძლება მერე მაინც იმედის გაცრუება მოჰყვეს...

ახალი ამბავი

პეტერსონის გადადგომა სამსახურიდან. მეფის ნაცვლის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების თანაშემწე გოფმეისტერი პეტერსონი სამსახურიდან გადადგა. მის მოადგილედ ასახელებენ თავ. არლოვს.

საქართველოს ექსარხოსი პიტერიმი როგორც ტფილისში მოსულ დეპეშიდანა სჩანს, ინიშნება კიევის მიტროპოლიტად, ხოლო მის ადგილას ეპისკოპოსი ბარნაბა.

საომარი სესხი, რომელსაც მთავრობა 1 მილიარდ მანათისას უშვებს თბილისის სახელმწიფო ბანკში 1013 ღვინობისთვემდე გაანაღდეს ნახ. მილიონ მანათისა.

ფინანსთა მინისტრმა, სასურველად სცნო ხაზინამ მოაწყოს შერეული სპირტის დამზადება და თვითონვე ჰყიდოს. ეს სპირტი სათბობისათვის იხმარება და ფუთი 3 მანათად ეღირება.

მთავრობის განკარგულებათა და კანონთა კრებულში შემდეგი დადგენილებაა მოთავსებული: მინისტრთა საბჭომ გამოამჟღავნა უმაღლესად დამტკიცებული შემდეგი დებულება; რადგანაც მაგარ სასმელების გაყიდვა აიკრძალა, საამისო ბინების დამქირავებელთა მიერ სახლის პატრონებთან დადებული პირობის წერილი ძალას ჰკარგავს. ეს ეხება როგორც სასმელების საწყობებს, სავაჭროებს, აგრეთვე სამრეწველოებს. აგრეთვე გაუქმებულია გარდასახადი იმ ბამბაზე, რომელიც ბუხარისა და ფერგანიდან ადგილობრივ გზებით იგზავნება.

განსვენებულ ჭოლა ლომთათიძის ცხედარი სარატოვიდან 9 გიორგობისთვეს გამოასვენეს. მას თბილისში ჩამოასვენებენ და კუკიის სასაფლაოზე დაჰკრძალავენ არჩილ ჯაფარიძისა და სევერიანე ჯუღელის გვერდით.

„თან. აზრის“ რედაქციას აუარებელი სამძიმარის დეპეშები და წერილები მოსდის ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო.

რეფერატი. ხვალ, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში ბ-ნი ავდეევი წაიკითხავს რეფერატს: „სასურსათო საკითხი ამიერ კავკასიაში“.

სასწავლებ. კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა 1 ქრისტეშობისთვეს განახლდება.

სამრევლო სკოლებში. სინოდის ობერ-პროკურორმა სახელმწიფო სათათბიროში კანონ-პროექტი შეიტანა, რომლითაც სამრევლო სკოლების მასწავლებლების ჯამაგირებისთვის 1916 წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად უნდა გადაიდოს დამატებითი თანხა რვა ასი ათასი მანათი. ამ თანხაში არ შედის თანხა, რომელიც გადადებულია ქალაქისა და სოფლის სამღვდელოებისათვის.

ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო „სოვ. სლ.“-ში მოთავსებულია ს. ლიუბოშის წერილი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „პირქუშ და ყინვიან რუსეთში კავკასია მუდამ ჰგზავნის ხოლმე მგზნებარე დეპუტატებს. ამ საუცხოო ბუნების პირმშო შვილთ თან მოაქვთ თავისი ქვეყნის მხურვალე მზის სიცხოველე, თავისი მშფოთვარე და დაუდგრომელი ბუნების ანარეკლი... განსვენებული ლომთათიძე უომედო ავადმყოფი იყო, მისი დღეები დიდი ხანეა დათვლილი იყო, მის მტანჯველს სენს მცირე რამ შეღავათს სამშობლო გურიის ჰავა თუ მისცემდა. იქნება გამოებრუნებინა კიდეც, ვინ იცის? მაგრამ იგი სარატოვის თავშესაფარში გარდაიცვალა. აქა ჰპოვა მისმა ტანჯულმა, მშფოთვარე, მებრძოლმა სულმა უკანასკნელი განსვენება.

სრულიად საქართველოს საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე. როგორც უწ. სინოდის ოფიციალი ორგანო „საეკლესიო უწყებანი“ გადმოგვცემს (№ 44) უწმინდეს სინოდს საოლქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაუმტკიცებია ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი. წინად ამ თანამდებობას ანტონ ეპისკოპოსი ასრულებდა.

მღ. გ. ჭელიძის გასამართლება. 10 გიორ. ტფილ. საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე მღ. გიორგი მიხეილის ძის ჭელიძისა და მის ძმის ქვეითა ჯარის კაცის მოსესი, რომელთაც ყალბი საბუთის შედგენა ბრალდებოდათ ოზურგეთის სამხედრო ბეგრის საკრებულოს სახელით 18 ქრისტესშობ. 1908 წლისა № 2368) ვითომც მათგანი გიორგი ჭელიძე გამოცხადებულა 1906 წელს და ამოღებულ კენჭის № 420 ძალით უნდა გამოცხადებულიყო ჯარში, მაგრამ ექიმთა შეთანხმებულ მოწმობის შემდეგ მიჩნეულ იქმნა უვარგისად და განთავისუფლებულ იქმნა სამხედრო ბეგრიდან სამუდამოთ. ეს ვითომც და ყალბი საბუთი გიორგი ჭელიძეს წარედგინოს საქართველოს ექსარქოსისათვის და უკანაფშავში ადგილი მიეღოს. საქმე მოსე ჭელიძისა გამოყოფილ იქმნა ცალკე ვინაიდან იგი ბრძოლის ველზეა. სასამართლომ, განიხილა მხოლოდ მღვდლის საქმე გიორგი ჭელიძისა, რომელიც ცნობილ იქმნა უდანაშაულოდ და გაამართლა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი კაჭუხოვი.

სახოფლო სამეურნეო საზოგადოებაში. მდივანმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისამ ვერმიშევმა თავი დაანება სამსახურს, დროებით მის ადგილას დაინიშნა ი. შ. ფირუმოვი. ანგარიშების შედგენა 1413 და 1914 წ. მიენდო ი. ო. იოსელიანს.

დეპუტატი კარლო ჩხეიძე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ ბელეცკისთან იყო და გაციმბირებულთა მდგომარეობის თაობაზე ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მათი მდგომარეობა ცხოვრების გაძვირების გამო უფრო გაუარესდა და შეუძლებელია თავის რჩენა იმ ფცირე სახსრით, რაც მათ ეძლევათ. ტანისამოსსა და საკვებ ფულს, თურმე, ხშირად უჭერენ. ზოგიერთ ადგილებში ცემა გაუხშირებიათ და სხვ. ბელეცკის მადლობა გადაუხდია ამ ცნობებისათვის და განუცხადებია: მართალია საკვები ფულისა და ტანისამოსის ძლევა ერთხანად შევაჩერეთ, მაგრამ უკვე განკარგულებაა დაგზავნული, კვლავ აძლიონო.

ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების გამო პეტროგრადში ლესნერის ქარხანაში მუშებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს: განსვენებულ დეპუტატის კუბო გეირგვინით შეამკონ. კრებას 4,000-მდე კაცი დაესწრო და სამგლოვიარო სიმღერით დაიშალა.

კონცერტი. დღეს 13 გიორგობისთვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში, გაიმართება საინტერესო კონცერტი. მონაწილეობას იღებს სხვათა შორის ე. ბროჯი—მუტინი რომელიც იმღერებს ოპერიდგან „პაიცები“. იმღერებენ რუსულს, ქართულს, თათრულს და სომხურ არიებს და რომანსებს დასაწყისი საღამოს 9 საათზედ. კონცერტზედ შესვლა უფასოა.

ფქვილი. 11 ამა თვეს რკინიგზით შემოვიდა თბილისში 11 ვაგონი ფქვილი.

მინდვრის თაგვი. ბოდბის (ქიზიყში) მიდვრებში თაგვი გაჩენილა.

გადამლები სენი. გუშინ, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 17, ჭუნთრუშიანი 130, სახადიანი 46, საოფლიანი 43, ხუნაგიანი 19, მუცელაიანი 3 და ყვავილიანი 3 კაცი.

კურსები დაჭრილ-დასახჩრებულ მეომართათვის. 11 გიორგობისთვეს კურსი დაასრულეს დაჭრილმა და დასახჩრებულმა მეომრებმა, რომელთაც პეტროგრადის კურსებზე შეისწავლეს სასოფლო კანონმდებლობა და ეკონომია. მოწმობა მიეცა 90 მათგანს,

აკრძალეს ეხლახან გამოსული კრებული „ომი“, სადაც მოთავსებული იყო წერილები პლეხანოვისა, დეიჩისა, აქსელროდისა და სხვათა.

ახალციხეში მხოლოდ 2—3 დღის სამყოფი ფქვილი ყოფილა. ბ-ნი გუბერნატორი სთხოვს ქალაქის გამგეობას 2 ვაგონი ფქვილი გამოგზავნოს.

ლურჯბილეთებიანები. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: რადგანაც მეორე ხარისხის მოლაშქრეთა გაწვევა (ლურჯბილეთებიანები) ხუთი უკანასკნელი წლისა უკვე გამოცხადდა და აგრედვე ოჯახური შეღავათებიც მოესპოთ 1896 წელში დაბადებულებს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შუამდგომლობა აღძრა, მოისპოს აგრედვე ვადის გადადება იმათი, ვისაც 1915 წ. 15 მარტის უმაღლესი ბრძანებით 1915 და 1916 წ. გასაყვანთაც მოესპოს ვადის გაგრძელება.

ჯარში გასაწვევი მოსწავლენი. იგივე სააგენტო იტყობინება: შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სამოსწავლო უწყებას ასეთი განმარტება დაუგზავნა:

1916 წელს შესაძლებელია ვადაზე ადრე მოითხოვოს 1918 წელს გასაწვევნი. ამ შემთხვევაში სწავლის დასასრულებლად ვადის გაგრძელება შეუძლიანთ აძლიონ სამაზრო და საქალაქო სამხედრო საკრებულოებმა მოსწავლეთა ბინადრობის ადგილას. ვადის გასაგრძელებლად თხოვნები უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 1916 წლის 1 იაივრისა. ხოლო იმ სასწავლებელში მყოფ პირთ, რომელთაც კანონით ვადის გაგრძელება არ ენიჭებათ, სათანადო თხოვნა წარდგენილი უნდა ჰქონდეთ არა უგვიანეს 1915 წლის 1 ქრისტეშობისთვისა. საზღვარ გარეთის სასწავლებელთა მოსწავლეებს და თავისუფალ მსმენელთ ვადა არ გაუგრძელდებათ.

სასურსათო საკითხი ზაქათალაში. ოლქის უფროსი თბილისის პოლიცმეისტერს სთხოვს, შემაძლებინეთ მცხოვრებთათვის ფქვილი შევიძინოო. ამასთანავე იტყობინება, ჩვენმა წარმომადგენელმა 50 ტომარა ფქვილი შეიძინა თბილისში, მაგრამ თბილისის პოლიციამ ჩამოართვაო. პოლიცმეისტერმა ეს შუამდგომლობა თბილისის ქალაქის გამგეობას გადასცა.

სასურსათო ყრილობაზე, რომელიც თათბირობს მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით საკვებისა და ბინის საკითხთა შესახებ, მეფის ნაცვლის განკარგულებით მიწვეულ არიან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელნი: მ. ვ. მაჩაბელი, პ. ა. გოთუა, თავ. მ. დ. ჭავჭავაძე (საქველმოქმედო საზოგადოების სასურსათო კომისიის თავმჯდომარე) და დ. ლუკაშვილი (თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე). ამ უკანასკნელს დეპეშით სთხოვა პ. გოთუამ, დაუყონებლივ ჩამოვიდეს თბილისში.

უკანასკნელი ფოსტა

ხუთი დღით შესვენება.

პარიზიდან გერმანელთა წყაროებიდან იუწყებიან, რომ პაპიმ გადაწყვეტილი ნაბიჯი გადასდგა, რათა მებრძოლი მხარეები ხუთი დღიო შეასვენონ.

კიდევ მაშველი ჯარები

ფრანგები სოლუნში კარგა ბლომა მაშველ ჯარებსა ჰგზავნიან.

რუსეთის ფრონტი

„რ. ინვალიდი“ სწერს, თან და თან საგრძნობი ხდება გერმანელთა განზრახვა, რომ საქმეს ჩვენს ფრონტზე დროს მოსაგებად აჭიანურებენ, ვიდრე ბალკანეთის საკითხს ავად ან კარგად არ დააბოლოვებენო.

ბრძოლა კუმნოვთან

ამ უამად სერბთა და ბულგარების შუა სასტიკი ბრძოლა ხდება კუმნოვის რაიონში.

ბრძოლის შეკეთება

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ვილიისა და პრიპიატის ხაზზე კვლავ მოძრაობამ იჩინა თავი. მოწინავე რაზმები შეეტაკნენ. ბრძოლის ცეცხლს თითქოს უკეთებენ.

დიდი ზარალი.

ავსტრო-გერმანელებს, როგორც ამბობენ, სერბიის ფრონტზე ხუთი დღის განმავლობაში 25 ათასი კაცი დაუკარგავთო.

სერბეთში

ცნობა მოვიდა, სერბთა რამდენიმე რაზმი გაუვალ ჭაობებში მოიმწყვდიეს და ტყვედ წაიყვანესო.

სოფლად

I ძელეხი.

დადგივარ სოფლად.—ვათვალიერებ, მის ცხოვრებას, მაჯის ცემას ყურს ვუგდებ.

სოფელი ისევ მძიმედ-მძიმედ ცხოვრების ჭაპანს ეჭიდება.

სოფ. **ავნევში** მოვხვდი, ერთ გლეხის ქალებს დავესწარი. მისი ოჯახის წევრი ომის ველზე მოეკლათ და მის მოსაგონად ჭირისუფლები წირვას უხდიდნენ.

ყველა მხრიდან ხალხი მოეწვიათ. ხარი, ოროხა, ცხვრები დაესაკლავებინათ; ბარელი ხორაგი, არაყი დიდი კასრებით ჩამწკრივებული ლუდი ისმოდა და ინთქმოდა...

უწინ ვენახებით განთქმული სოფ. ავნევი—ეხლა ქართველი გლეხი სტუმარს ლუდით უმასპინძლდება!

საზოგადოთ როგორც ყველგან ისე აქაც ჩუულებრივი კითხვაა:

— როგორ აოის ომის საქმე, ჩვენი ხემწიფე სჯობნის თუ არა?

— ა შერიგებას ხომ არ აპირებენ?

— რასაკვირველია ჩვენ გაიმარჯვებთ, ბოლო ისევ ჩვენია, რუსის ხემწიფეს ერავინ აჯობებს?!

და ეს კითხვები ყველას საყურადღებოთ ექცევ მიჩნეული, ყველანი სმენად გადიქცნენ. რომ არაფერი გამოჰპარვიდათ ომის ამბების შესახებ.

ომში დაბოლილი ვაჟკაცების შესანდობარს სმენ.

ყანწებს პირს უქცევენ, ფეხზედ მდგომნი, ქუდ-მოხდილნი მიცვალებულებს სიტყვას უთვლიან.

და ყველანი დინჯად-დარბაისლურად ილოცებიან...

II მამასახლისის თვითნებობა.

სოფლად დავდივარ... სოფლის ჭირვარამს ვტყობილობ.

და ჩვენს დალოცვილ დროში გლეხის უუფლებობას ისევ ადგილი აქვს.

სოფ. **თამარაშენში** შევიარე დ ვცანი შემდეგი:

ვინ არ იცის, რომ სოფლად მამასახლისებს ბევრი რამ შეუძლიანთ, ავიც და კარგიც.

ყველას კარგათ მოეხსენება ზოგიერთ მამასახლისების თვითნებობა.

და ესენივე არ კმაყოფილდებიან ერთხელვე დაწესებული ჯამაგირებით და ყოველ შემთხვევაში ცდილობენ ვისმეს რამე წაგლეჯონ.

მასთანვე ცნობილია, რომ საზოგადოებას კანცელარიის ხარჯი, შეშა, ნავთი და სხვ., რაც დასჭირდება, საზოგადოებაზედ ფულს გაწერდით, იკრიფება და ყოველივე ეს ამ გაწერილ ფულს ისრულებს კანცელარია.

აბისის საზოგადოების მამასახლისი მ. მესხი ამ ფულით აღარ კმაყოფილდება და საზოგადოებას ხელმეორედ ახდევინებს შეშას.

სხვათა შორის ერთი ბრძანება მისი, რომელიც თამარაშენის მამასახლისის ნაცვალმა გადმომცა, აი, რას ამბობს, „ბრძანება თამარაშენის „პომოშჩნიკ“-ს. სასტიკათ გასწერეთ სოფელში შვიდი ურემი შეშა, უნდა მოიტანონ კანცელარიისთვინ, ამაღამვე გარეკე. მამასახლისი მ. მესხი. (ბეჭედი)

სოფ. თამარაშენმა ეს არ შეასრულა. ამის გამო მცხოვრებთ აბისის მამასახლისი სტრაჟნიკებით ეახლებიან თამარაშენელებს, სოფლიდან გამოუძახებს 7 კაცს და კანცელარიაში სოფ. ბერაძენულში გარეკავს.

იმ ღამეს იმ შვიდ კაცს საბძელში ეაამწყვდევენ, სტრაჟნიკებმა რჩევა მისცეს: ბოსელში დაბინავდითო, გლეხებმა საბძელი ირჩიეს, რადგან ბოსელი უსუფთავო იყო.

სტრაჟნიკებმა გლეხებს განუცხადეს: თუ რომ ამაღამ ცხენები დაიკარგონ, თქვენ იქნებით პასუხის მგებელნო.

გლეხებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს, საბძელში დაბინავდნენ და გარედან კარებს კლიტე დაადეს.

სტრაჟნიკებმა ცხენები ბოსელში დაბინავეს, უნაგირებიც იქავე დასტოვეს, კვლავ კი ყოველთვის, სადაც სტრაჟნიკს ბინა აქვთ, უნაგირებსაც ინახავენ ხოლმე.

ყოველ კანცელარიას ღამის ყარაული ჰყავს, იმ ღამეს ყარაული სახლში დაითხოვეს, თითონ სტრაჟნიკები კანცელარიაში დაბინავდნენ.

შუაღამისას ცხენები დაიპარეს. მეორე დღეს ტუსაღებს მოჰკიდეს ხელი, დაბარალეს მათ ცხენების მოპარვა და გომისკენ წაათრიეს ბოქაულთან.

სამი დღე-და-ღამე ვაივაგლახში გატარეს.

ბ-ნმა გომის ბოქაულმა მაისურაძემ სცნო მათი სიმართლე, გაანთავისუფლა ისინი და მასთანვე გაიგო სტრაჟნიკების და მამასახლისის ოინები.

მომრიგებელ შუამავალმაც იცის ეს ამბავი. მაგრამ სოფლად ასე უდანაშაულოდ ისჯებიან მცხოვრებლები და დამნაშავენი კი დაუსჯელად ისევ დაიარებიან და ჩვენ ყველას ეს უუფლებობა ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია.

Legatus.

უძველესი კულტის ნაშთები ქართველთ ცხოვრებაში

ჩვენს წინაპრებს ძველად, წარმართობის დროს, სცოდნიათ, როგორც კერპთა, ისე ცეცხლის თაყვანის ცემა. ასეთი ყოფილა **ბოჩი,** რომელსაც შვიდი ხელი ჰქონია ნიშნად კავკასიონის შვიდი მწვერვალის ბატონობისა და აღმართული ყოფილა ივერიისა და კოლხეთის სამზღვარზე; აგრედვე **გაც** და **გაიმ,** რომელიც აზოს, არან ქართლის მეფეს, მაკედონელ ბერძენთა მიერ დაპყრობილი საქართველოს მეფის ნაცვლად და მმართველად დადგენილს, მცხეთაში ჩაუტანია და შემდგომ, მაზდეიზმის პერიოდში, აღუმართავთ მარჯვნივ და მარცხნივ არმაზის კერპისა; და სხვა მრავალი კერპი, რომელიც შემოდიოდა საბერძნეთიდგან, როგორც მაგალითად **არია, აფროდიტე** და სხვა ღმერთებისა.

ზოგჯერ კერპთა და ცეცხლის თაყვანისცემა შეერთებული ყოფილა ასე, რომ მაგალითად, არმაზი (აჭურა მაზდა), ცეცხლის, სინათლის ღმერთი თუ არანში, სადაც პირველად დამყარდა მისი პატივისცემა, უარ ჰყოფდა კერპსა, ჩვენს წინაპრებს დასახული ჰყოლიათ კერპად, რომელიც სპილენძის ვაჟკაცის ძეგლად [illegible] დგა. [illegible] ბოლამდე [illegible] ეგმა. [illegible] ეგმა. [illegible] ეგმა.

ახალი სკოლები ჩვენში

სოფელ-დაბებიდან თხოვნას თხოვნაზე გზავნიან, დახმარებასაც კი პირდებიან სამოსწავლო მთავრობას, თუ ის ინებებს და გახსნის ეგრედ წოდებულ „პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლებს“.

დღეს დიდ მსვლელობაშია ახალი ტიპის სკოლები, თუმცა აქ ახალი არაფერია. ეს სკოლები ისეთივეა, როგორიც სხვა მთავრობის სასწავლებლები. თუ გულდასმით გადავათვალიერებთ ამ სკოლების პროგრამას, დებულებასა და მიზანს, დავრწმუნდებით, რომ ამ სასწავლებლებს უფრო ბევრი ნაკლი აქვთ, ვიდრე მთავრობის ძველ სკოლებს.

მაგ. ამ ახალი ტიპის სკოლების დებულებაში არა რუსთა ენას არავითარი უფლება არა აქვს. აქ ქართული ენის არსებობა შემთხვევითია. ხაზინა მას არაფერს არ აძლევს. თუ სასწავლებელს კერძო წყაროები მოეპოვება, სპეციალური საშუალებანი აქვს, ქართულ ენასაც ასწავლიან, თუ არა და ქართულიც მოისპობა. სასწავლებლის თანხა შესდგება უმთავრესად მოწაფეთა სწავლის ფულისაგან და მრავალი საქმე აქვს გასაკეთებელი. შესაძლებელია, რომ ქართულის სწავლება უმნიშვნელო მოვლენად ჩასთვალონ და იმას ერთი გროშიც აღარ დარჩეს. ეს იმაზედაც არის დამოკიდებული, თუ ვინ ანაწილებს ზემოხსენებულ თანხას. აქედგან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ამ ახალი ტიპის სკოლებში ჩვენს სამშობლო ენას, ლიტერატურასა და ისტორიას არავითარი კანონიერი ძალა არ აქვს, მისი ბედი და იღბალი კერძო პირთა სურვილზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი სასწავლებლების უფროსებზე.

უფროსები „ჭკვიანი“ და საიმედო ხალხია. და რომ ამ „ჭკვიანებმა“ უფსკრულში არ გადაჩეხონ მრავალტანჯული ქართული ენა, აუცილებლად საჭიროა, რომ თვით ქართველმა ხალხმა მიაქციოს დედაენის მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება.

ქართულ ენას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენი ქვეყნის ყველა არსებულ სასწავლებლებში. ამას მოითხოვს თვით ხალხის კეთილდღეობა; ამასვე მოითხოვს ჩვენი მოვალეობა იმ ნორჩ თაობის წინაშე, რომელზედაც დამოკიდებულია სამშობლოს მომავალი.

ი. ჭი—ძე.

პროვინციის ქრონიკა

ფ ო თ ი.

6 გიორგობისთვეს აქ ჩამოვიდა წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა ინსპექტორი ვ. ღლონტი. ბ-ნმა ღლონტმა რევიზია მოახდინა, ფოთის წვრილ კრედიტის ამხანაგობაში, საქმე სასურველად დაყენებული აღმოჩნდა.

— ქუთაისის ურთიერთ დამზღვევი საზოგადოება ამ ახლო მომავალში ქ. ფოთში მოაწყობს თავის განყოფილებას და მოქმედებასაც დაიწყებს.

— ამ უკანასკნელ დროს რუსეთის საჭიროებისათვის გაიტანეს ორას ფუთზე მეტი შავი ქვა.

— ქალაქ ფოთშ ხურდა ფულის მოსპობა დიდ უხერხულობას და უსიამოვნებას ჰბადებს.

სოფ. ხაბუმე (სამეგრელო).

სანოვაგეზე დადებულ ნიხრს ვაჭრები ყურადღებას არ აქცევენ, მესამე ხარისხის პურს გირვანქას ჰყიდიან 7 კაპ. და შაქარს 35 კაპ. აქაური საფოსტო განყოფილება, საფოსტო სატელეგრაფო განყოფილებად გადაკეთდა.

სოფ. ჯავი (ქართლი).

უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის შენობის საძირკვლის ჩასადგმელად მიწას სთხრიდნენ. მუშებმა მიწაში იპოვეს ძველი ხელთ ნაწერი, ოქროს და ვერცხლის ნატეხები და აგრეთვე ძველებური ფულები, რომელიც დროებით ინახება ადგილობრივ მღვდლის ბეგოზაშვილის სახლში. ოს ჯაველებს 20,000 მან. შეუგროვებიათ უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის ასაგებად.

სოფ. ურიათუბანი (კახეთში).

აქ არსებული სამრევლო სკოლა უსაღსრობისა გამო დაიკეტა.

ოზურგეთი.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ოზურგეთის მცხოვრებს ნ. ლ. კიკვაძეს გახსნას ოზურგეთში საქალაქო პროფესიული სკოლა.

ზუგდი.

1916 წლის 1 იანვიდან აქ გაიხსნება მეექვსე საგრონომიო პუნქტი.

ბ ა თ ო მ ი.

ამას წინად შემუშავებულ დადგენილებით ყველა ქ. ბათომის აფთიაქების მოსამსახურეთ ჯამაგირი ემატებათ. შეგირდები იღებენ პირველ თვეში 40 მანეთს, მეორე თვეში 50 მანეთს, მესამე 55 მანეთს. პროვიზორის თანაშემწეს პირველ თვეში 70 მან. მეორე თვეში 80 მან. და მესამე—85 მან.

სურები (გურია).

სოფელში შეადგინეს თუთუნის მწარმოებელთა კავშირი, რომლის მიზანია მახლობელ სოფლების თუთუნს შესაფერისი ბაზარი მოუპოვონ.

დ. ყვირილა.

21 გიორგობისთვეს აქ დანიშნულია ადგილობრივ საკოოპერატიო „ეროვნის „ერთობის“ საზოგადო კრება. განსახილველია სურსათ-სანოვაგის შეძენის და პაიების შემოტანის საკითხი.

— 31 წარსულ თვეს აქაურმა რკინის გზის მოსამსახურეებმა საღამო გამართეს, რომლის შემოსავალიც გადაეცემა ხელმოკლე ჯარისკაცთა ოჯახებს.

დ. ბორჯომი.

ბორჯომის ხეობაში წელს ცუდი მოსავალი ყოფილა.

— გასულ წელს დ. ბორჯომში გაიხსნა ლაზარეთი, რომელიც შემოწირულებით არსებობდა. დღეს ლაზარეთი დიდ განსაცდელშია, რადგან მას შემოწირულება არსაიდან არ მოზდის, საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ საჭირო დაწესებულებას და შემწეობა აღმოუჩინონ.

მაჰმადიანთა ცხოვრება

7 გიორგობისთვეს მეფის ნაცვალს წარუდგა განჯის გუბერნიის მაჰმადიან თავად-აზნაურთა დეპუტაცია.

— აჭარაში გაგზავნილმა ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმენებულმა, ექიმმა სულთანოვმა უკვე მოიარა ზემო და ქვემო აჭარა. ბ-ნი სულთანოვი ეხლა წავა შავშეთში და შეუდგება ომიანობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობის გამორკვევას.

— ამ დღეებში მოელიან მაჰმადიანთა დეპუტატს, პაპაჯანოვს რომელიც გადმოხვეწილთა საშველად პეტროგრადიდან წამოსულა.

— გაზ. „იულდუზი“ უსაყვედურებს ქ. ყაზანის მაჰმადიან მცხოვრებთ, რომ ამ უკანასკნელთ ვერ გამოიჩინეს ფხა და უნარი ქალაქის არჩევნების დროს შესაერთებლად, რის გამოც ქ. ყაზანში არჩევნებში მაჰმადიანებმა თავიანთი კანდიდატი ვერ გაიყვანეს.

—

კაშგარში ცნობილ ბუსაევის ინიციატივით გაიხსნა სემინარია. ზოგიერთმა ფანატიკებმა სემინარიას ცუდის თვალით დაუწყეს ცქერა და იგი მთავრობას დააკეტინეს, მხოლოდ სემინარიის დირექტორი სამართალში მისცეს. შეგნებულმა მაჰმადიანებმა ამ მოვლენის გამო გამოძიება მოახდინეს და მთავრობას დაკეტილი სემინარიაც გაახსნევინეს. აგრედვე გაანთავისუფლეს სემინარიის დირექტორიც.

სომეხთა ცხოვრება

ამ დღეებში ოსმალეთის სომეხთა დამხმარე კავშირს თათბირი ჰქონდა გამართული, თავის შემოსავალ-გასავლის გამოსარკვევად.

რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ კავშირს პირველ გიორგობისთვემდე შემოსვლია 5791 მან. 61 კაპ. მხოლოდ გასავალი ჰქონია 6184 მან. 54 კაპ. მაშასადამე დეფიციტი სამი თვის განმავლობაში უდრის 402 მან. 93 კაპ.

—

~~სომხურ გაზეთებს რუმინეთით ატ~~ყობინებენ: ოსმალეთის მთავრობას განძრახვა ჰქონია სტამბოლიდან ყველა სომეხი მცხოვრები გამოაძევოს.

—

ქ. კონიის ვალი ჯემალ-ბეი სამსახურიდან დაითხოვეს. მას სომხების მომხრეობას სწამებდნენ.

—

ტრაპიზონის სომეხთა ეპარქიის უფროსი არქიმანდრიტი ტურინი ეს ერთი ხანია სამხედრო სასამართლომ არზრუმში გაჰგზავნა. ჰფიქრობენ არქიმადრიტი გზად მოჰკლესო.

—

სომეხთა უსაზღვრო ჟღეტის შესახებ სულთანს განუცხიდებია: „მე არაფერი ვიცი, ყველაფერი მინისტრების საქმეაო“.

—

ამ ჟამად შიშში არიან სპარსეთის სომხებიც, ისინი ყოველდღე ასობით გამორბიან კავკასიის საზღვრებისაკენ. დიდ განსაცდელში ყოფილან სომხები ყარადაღში.

სასწავლებლებში

საკომერციო სასწავლებლებში.

განათლების სამინისტრომ ეაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით გადასწყვიტა, რვა-კლასიან საკომერციო სასწავლებელში კურს დამთავრებულთა უფლება მიენიჭოთ უმაღლეს სასწავლებელში (უნივერსიტეტში) შესვლისა, მხოლოდ ლათინურში გამოსცდიან. ჯერ-ჯერობით მიიღებენ მხოლოდ იმ კურს დამთავრებულთა, რომელთაც იმ 28 საკომერციო სასწავლებელში დაუსრულებიათ სწავლა, რომელთა პროგრამაც რეალ სასწავლებელთა კურსთან არის გათანაბრებული. სხვა სასწავლებლებმა სათანადო შუამდგომლობა უნდა აღძრან, თუ კი სასწავლებელში ნორმალური პროგრამა უკვე შეტანილია.

კიევის ქალთა კურსები.

5 გიორგობისთვეს. კიევის ქალთა კურსების მსმენელმა ქალებმა განათლების მინისტრს პ. ნ. იგნატიევს სთხოვეს, გაანთავისუფლონ იგინი ვაჟთა გიმნაზიის დამატებითი გამოცდისაგან, სამკურნალო ინსტიტუტში შესასვლელად. იგნატიევი დაჰპირდა საქმეს გაეცნობიო.

პეტროგრადის უნივერსიტეტში.

პეტროგრადის ქალაქის გამგეობამ 26 ათასი მანეთი გადასდო, პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ საქველმოქმედო და საამხანაგო დაწესებულებათათვის. უნივერსიტეტის რექტორმა ე. დიგრიმმა გამგეობას აცნობა, ეგ ფული გასანაწილებლად გადაეცით უნივერსიტეტის პროორექტორს და ხელმოკლე სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტსაო.

ახალი კურსები პეტროგრადში.

ამ მოკლე ხანში პეტროგრადში დაიწყებს მოქმედებას ახალი უმაღლესი კურსები. ლექციებს იკითხავენ: პროფესორი საკულინი—„რუსეთის ახალი ლიტერატურის ისტორია“, პროფეს. ე. ვ. ტარლე—„საერთაშორისო დამოკიდებულების ისტორია უკანასკნელ ასი წლისა“, პროფ. ვერივო, პრ. ა. ფ. კალი და სხვანი. ლექციები იქნება საღამოს 8—10 საათამდე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული დრამ. დასის სეზონი სახალხო სახლში.

დღეს კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ქართული დრამატული საზოგადოების დასი პირველად ხსნის თავის სეზონს. დასში არიან: ქალები—ტასო აბაშიძე, ნინო დავითაშვილი, ან. ქიქოძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნატ. ჯავახიშვილი, ნ. თოიძე; ვაჟები—ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი და ახალგაზდები, რომელნიც აგერ სამი-ოთხი წელიწადია, რაც იწრთვნებიან ქართულ სცენაზე.

სეზონის გასახსნელად დრამ სახ. გამგეობას ამოურჩევია ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“, რომელიც არა ერთ-გზით იყო წარმოდგენილი ჩვენს ქართულ სცენაზე და პროვინციის დიდს ქალაქებში, ქუთაისში, ბათომში და ბაქოში.

სრულიმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება დღევანდელ დღეს და სახალხო სახლის დარბაზის სიცალიერით გულს არ გაუტეხს ჩვენს მსახიობებს, რომელთაც მოქალაქობრივი გრძნობა და სულიერი რაინდობა გამოიჩინეს თავის კერის დანგრევის შემდეგ. იმედი ვიქონიოთ რომ დასიც გაამართლებს საზოგადოების მოლოდინს და მოთხოვნილებას, რომელიც დღით დღე უფრო რთულდება და მსახიობთაგან მეტს მოითხოვს ვიდრე წინედ.

რუსეთი

ფასიანი ქაღალდები.

ბერლინში გამოაცხადეს ფასიან ქაღალდების საბირჟო ფასები. რუსეთის 4 პროც. სახელმწ. ობლიგაც. 902 წლისა—ღირს 62 მ. აზოვ-დონის კომერც. ბანკისა 170 მ. საერთაშორისო—115 მ. ნობელის აქციები—30 მ. ყველა სავაჭრო საქმეებს, ომის წინად დაწყებულს, ამ მიზანდით ასწორებენ.

გალიციის რკინის გზა.

გალიციის რკინის გზის სამმართველო ეხლა კიევშია გადმოტანილი, სადაც ომის დასრულებამდე დარჩება.

მუშა-ამომრჩევლები.

მოსკოვში 10 გიორგობისთვეს მოხდა მუშათა კრება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში ამომრჩეველთა არჩევად. კრებაზე 90,000 მუშამ მიიღო მონაწილეობა 60 ქარხნიდან.

შავრაზმელთა ყრილობა.

ამ თვეში მოსკოვს ან ნოვგოროდში გაიმართება დუბროვინის რუსთა კავშირის განყოფილებათა კრება. სხვა მემარჯვენეები ამავე დროს პეტროგრადში მოახდენენ ყრილობას. ყრილობებს დაესწრებიან სახელ. სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციის წარმომადგენელნი, რუსთა კავშირის, მარკოვის კავშირის და სხვანი.

გერმანული ლაპარაკისთვის.

პეტროგრადში 10 დღის დაპატიმრება გადაუწყვიტეს კოლეჟ. სეკრეტ. მეუღლეს მარია კლინკლავს, რადგანაც საჯარო ადგილას გერმანულად ლაპარაკობდა.

გამოქცეულები.

პეტროგრადში 2,152 გამოქცეული უმუშევარია. ამათგან 1,999 შავი მუშა, 1,141 ხელოსანი, 735—მოსამსახურე, 384—ინტელიგენტი.

მოსკოვში—1080. ამათგან შავი მუშა 556, 493 ხელოსანი, 26 მოსამსახურე, 295 ინტელიგენტი. სულ გამოქცეულთა რიცხვი ეროვნების დაგვარად ასე ნაწილდება: რუსი—141,979, პოლონელი—35,333, გერმანელი—9853, ებრაელი—9663, ლატიში—5721, ლიტველი—5098, გალიციელი—544, ციგანი—284, სომეხი—32, ესტონელი—122, თათარი—29 და სხვ.

წერილი გულგარეთიდან

„რ. ვ.“ მოთავსებულია დერენტალის წერილი. იგი მეტად დამახასიათებელია რუსის გულის თქმისა. მოგვყავს ამონაწერები:

რუსეთის დიპლომატიამ დიდი დაუდევრობა და წინდაუხედავობა გამოიჩინა, 1913 წ. რომ ბალკანეთის მოკავშირეთა ჯარებს ბულგარეთი შეამუსრინა. მას მერე რუსოფილებმა ბულგარეთში ყოველივე გავლენა და ნდობა დაჰკარგეს. ამას ბუქარესტის ხელშეკრულებაც ზედ დაერთო, რომლითაც მაკედონია ბულგარეთს ჩამოაცალეს. რუმინეთის მიერ ბულგარეთისაგან წართმეული დობრუჯუ, რომლის ყოველწლიური შემოსავალიც 50 მილიონ ფრანკს უდრის და აგრედვე ოსმალეთის მიერ დაჭერილი თრაქია უფრო საჭიროა ბულგარეთისათვის, ვიდრე მაკედონიის ხრიოკი და, უნაყოფო კლდე-ღრე. მაგრამ მაკედონია ბულგარეთისათვის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. მაკედონია მათთვის ეროვნულ გაერთიანების დაგვირგვინებას უდრის, ეს აზრი თითქმის რწმენის კულტად ექცათ.

რუსეთის მტრები მაინც ვერ გადაბირებდნენ ბულგარეთს, თავის დროზე მოკავშირეები ბულგარებს მაკედონიას რომ დაჰპირებოდნენ, ნამეტნავად მაშინ, რუსეთის ჯარი კარპატებს რომ გადასცდა და ავსტრიის ველში დაეშვა.

ამის მერე რუსეთის ასპარეზზე მომხდარმა ამბებმა ბულგარეთს გუნება შეაცვალა.

ასე ადვილად რად აჰყვა ბულგარეთი გერმანეთის წაქეზებას? ბულგარეთი ხომ მხოლოდ 38 წელიწადია, რაც 500 წლის ოსმალეთის უღლიდან განთავისუფლდა. იქ ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება არც ისტორიული ტრადიცია, არც საზოგადოებრივი აზრი, არც საპოლიტიკო პარტიული ორგანიზაციები. ხალხს კი უყვარს რუსეთი და მისკენ იხრება. აკი დეპეშითაც გაცნობეთ, საკმარისია ბულგარეთის მიწა-წყალზე რუსეთის ჯარმა სადმე ფეხი შემოდგას, რომ ეს აქაურმა გლეხობამ გამოიჩინოს ნამდვილი თავისი გულისნადები და მყის ჩაშალოს ავსტრო-გერმანეთის მოხერხებული გეგმები“...

ა. დერენტალი.

მოგონებანი

ამ სათაურით დაიბეჭდა „Morning Post“-ში ჟოზეფ რეინაკისა. საფრანგეთის დეპუტატს რეინაკს დაახლოებით უცვნია მეფე ფერდინანდი და მასთან ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონია. საგულისხმო ცნობებს იძლევა რეინაკი მსოფლიო ომში ბულგარეთის ჩარევის თაობაზე.

1915 წლის დასაწყისში რეინაკს უცნობებია ფერდინანდისათვის: ხმა გავრცელდა, ვითომც ბულგარეთს ავსტრო-გერმანებთან მოლაპარაკება აქვს გამართულიო. ფერდინანდს მაშინვე, 12 თებერვალს, დეპეშით უპასუხნია: „ჩემთვის სულ ახალია, რასაც თქვენ მატყობინებთ. რაც უნდა ხმები იყოს, ფრთხილი ისტორიკოსი, ვგონებ, შეუმოწმებლად ვერ დაირწმუნებს მათს საეჭვო სინამდვილეს. რაც შეეხება იმას, თუ საით იხრება ჩემი გული—იგი უცვლელია. „ევროპიელი“.

ფერდინანდი რეინაკთან მიწერილ წერილებს მუდამ აწერდა ხოლმე „კეთილი ევროპიელი“ და საფრანგეთისადმი თანაგრძნობას მუდამ აღნიშნავდა კერძო საუბარსა თუ წერილებში.

ბულგარეთის შესახებ ხმები უფრო და უფრო გავრცელდა და რეინაკმაც კვლავ მისწერა ფერდინანდსა. თუმცა ამ წერილის პასუხი აღარ მიუღია.

რეინაკი სწერს „მოგონებაში“: „აპრილში ღალატი აღსრულდა. სოფიაში მყოფმა რუმინეთის დესპანმა თავის მთავრობას აცნობა ეს ამბავი, და მან კი სამთა კავშირის სახელმწიფოებს გაუმეღავნა, ამავე დროს საბერძნეთის მთავრობამაც აცნობა ეს ამბავი ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოს“.

ფერდინანდი მაინც იმეორებდა, მოკავშირეთა მხარესა ვარო. მარიამობისთვის ნახევარში დომბროვიჩი ერთს ფრანგს სწერდა: „ბულგარეთი კვლავ ნეიტრალობას იცავს. ბოლომდინ გაატანს თუ არა? არა მგონია, თუმცა საბერძნეთსა და რუმინეთზე ადრე ნეიტრალობაზე ხელს არ აიღებს. ბალკანეთის უკანასკნელ ომის პარტახმა ბულგარეთს ჭკუა ასწავლა, რომ დაპირებას არ დაენდოს და სენტიმენტალობის პოლიტიკას ერიდოს. თქვენი სალამი მის უდიდებულესობას, მეფეს, გადავეცი. მეტის მეტად ესიამოვნა და დამავალა უგულითადესი მადლობა გადმოგცეთ“. ეს წერილი 15 მარიამობისთვეს დაწერილია—ამბობს რეინაკი—გერმანეთ-ბულგარეთის ხელშეკრულობა კი ხელმოწერილი იყო 17 მკათათვეს.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დაწერეთ ლაგერის
> ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsge-
> fangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰ-
> კრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
>
> Suisse. Recommandée
> Comité International de la
> Rouge.
> Agence des prisonniers de
> guerre Genéve.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში. სოფელ ღანირის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „თეატრი და ცხოვრება“, „სამშობლო“, „სახალხო ფურცელი“, „მეგობარი“, „საქართველო“, „ზვირთი“, „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ზაკავკასკაია რეჩი“. აქვს აგრეთვე ოთხასამდე სხვა და სხვა საუცხოო ყდაში ჩასმული წიგნები.—ყველა ქართველ მწერლების, როგორც წიგნები, აგრეთვე სურათებიც. გაზეთს სამკითხველო ყოველ დღეს სამტრედიის აგენტისაგან ღებულობს, რათა მკითხველს მუდამ დღე შეეძლოს ახალ-ახალი გაზეთების წაკითხვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამკითხველო დიდი ხანი არ არის რაც არსებობს და სულ ერთი წლის, განმავლობაში, როგორც მკითველი ხედავს, სოფლის სამკითხველოს საკმაოდ ჰქონია წიგნებიც და გაზეთებიც! მაშასადამე მმართველებსაც არ სძინებიათ. „საქართველოს“ 133 ნომერში კი მოთავსებული იყო უსაფუძლო ცნობა სოფელ ღანირის სამკითხველოს შესახებ. სჩანს „საქართველოს“ რედაქციაც შეცდომაში შეუყვანიათ.

კოსტა ნოდია.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან. . 12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან. 5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან(სწრ.) 7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან. 9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან 6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ.
„ საგ. 10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ 1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . 7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.) 12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ. 8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ 10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ტ წნორისკენ დილ. 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ. 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . . 5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის . . . . . 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის. . . 10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკასკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადოს.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ბაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.